ტელემედიცინის როლი და განვითარების პერსპექტივები პირველად ჯანდაცვაში Covid-19 პანდემიის შემდეგ

ხეთაგური ელენე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი,ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ელენე ხეთაგური

ხელმოწერა:

16.06.2025

აბსტრაქტი

ტელემედიცინა წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის თვალსაჩინო მაგალითს, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა COVID-19 პანდემიის პერიოდში. ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, დისტანციური სამედიცინო სერვისები ეტაპობრივად ინტეგრირდება პირველადი ჯანდაცვის პრაქტიკაში, რაც ზრდის სამედიცინო სერვისების უწყვეტობასა და ხელმისაწვდომობას.

ოჯახის ექიმები, როგორც პირველადი რგოლის წარმომადგენლები, თამაშობენ გადამწყვეტ როლს ტელემედიცინის დანერგვისა და განვითარების პროცესში. კვლევა მიზნად ისახავს ოჯახის ექიმების აღქმისა და დამოკიდებულებების ანალიზს ტელემედიცინის სერვისების მიმართ, ასევე იმ პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას, რაც ხელს უშლის დარგის განვითარებას.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით, სიღრმისეული ინდივიდუალური ინტერვიუების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისსა და რეგიონებში მომუშავე 10-მა ოჯახის ექიმმა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა დამოკიდებულება ტელემედიცინის მიმართ უმეტესად პოზიტიურია. ისინი ტელემედიცინას განიხილავენ როგორც ეფექტურ ინსტრუმენტს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების კუთხით. მიუხედავად ამისა, ოჯახის ექიმები მიიჩნევენ, რომ დისტანციური კონსულტაციები ვერ ჩაანაცვლებს სრულად ტრადიციულ ვიზიტებს. ინდივიდუალური ინტერვიუებიდან გამოიკვეთა ძირითადი ბარიერები: ტექნიკური პრობლემები, ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, პაციენტებისა და ექიმების ტექნოლოგიური ცოდნის დეფიციტი, კომუნიკაციის ბარიერი, სამართლებრივი რეგულაციების ნაკლებობა.

შესაბამისად, კვლევაში ხაზგასმულია რამდენიმე აუცილებელი სტრატეგიული ნაბიჯი, რომლებიც მნიშვნელოვანია ტელემედიცინის წარმატებული და მდგრადი ინტეგრაციისთვის ჯანდაცვის სისტემაში. მათ შორისაა: ინფრასტრუქტურის

განვითარება, პროფესიული ტრენინგები, მკაფიო რეგულაციების შემუშავება და საზოგადოების ინფორმირება და განათლება. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისთვის და სამომავლო კვლევებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ტელემედიცინის სერვისების პრაქტიკულ დანერგვას, რაც დადებითად აისახება სერვისების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტელემედიცინა, ოჯახის ექიმები, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, COVID-19, ციფრული ჯანმრთელობა, ტექნოლოგიური ბარიერები

Abstract

Telemedicine represents a clear example of digital technology integration in the healthcare sector, whose importance significantly increased during the COVID-19 pandemic. In parallel with technological advancement, remote medical services are gradually being integrated into primary healthcare practices, enhancing the continuity and accessibility of care.

Family physicians, as representatives of the primary healthcare level, play a crucial role in the implementation and development of telemedicine. This study aims to analyze family doctors' perceptions and attitudes toward telemedicine services, as well as to identify the challenges and barriers that hinder the development of this field.

The research was conducted using a qualitative method based on in-depth individual interviews with 10 family physicians working in Tbilisi and other regions of Georgia. The findings revealed that the respondents' attitudes toward telemedicine were generally positive. They view telemedicine as an effective tool for improving the accessibility and efficiency of medical services. Nevertheless, family physicians believe that remote consultations cannot fully replace traditional in-person visits. The interviews revealed key barriers to telemedicine integration: technical difficulties, underdeveloped infrastructure, limited digital literacy among both patients and physicians, communication challenges, and a lack of legal and regulatory frameworks.

Accordingly, the study highlights several strategic steps that are essential for the successful and sustainable integration of telemedicine into the healthcare system. These include infrastructure development, professional training, the establishment of clear regulations, and public awareness and education. The findings are significant for informing healthcare policy and guiding future research, which will support the practical implementation of telemedicine services and positively impact service quality and accessibility.

Keywords: Telemedicine, Family Physicians, Healthcare Accessibility, COVID-19, Digital Health, Technological Barriers